ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 20

12 ივნისი 2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი № 2

12:00

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური - გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ირაკლი თავართქილაძე

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური - გიორგი ბაგრატიონი

მერიის ადმინისტრაცია - ვალერი ჭიღლაძე

ეზიდთა კავშირის წარმომადგენელი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2. კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, გოჩა თევდორაძე, ვახტანგ შაქარიშვილი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

კენჭი უყარეს წარმოდგენილ დღის წესრიგს.

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-4 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე (წერილი №12-031815580-03).

2. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ (№11-01181623132).

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ (წერილი №12-031815667-03).

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (წერილი №12-031815667-03).

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (წერილი №12-031815667-03).

6. ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქ.#133-ა-ში (საკ/კოდი 01.17.14.002.189) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (წერილი №12-03181574-03)

7. ქ. თბილისში, ალექსეევკას დასახლებაში (ნაკვეთი 02/022) საკ/კოდი: 01.19.25.002.022 მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (წერილი №12-03181574-03).

8. ქ. თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს №3-ში (საკ/კოდი: 01.18.13.021.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (წერილი №12-03181574-03).

9. ქალაქ თბილისის მერიასა და საქართველოს ეზიდთა კავშირს (უფლებამონაცვლე: საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ეზიდთა სასულიერო საბჭო საქართველოში ს/კ 4060548251) შორის 2010 წლის 20 იანვარს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის #100038804) გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შცვლის თაობაზე (წერილი №12-03181575-03).

10. ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში,თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ (წერილი №12-03181575-03).

11. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს „თბილისში საირმის ქუჩა №82-ში მდებარე 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:01.10.15.026.043) პირდაპირი განკარგვის წესით ზვიად მექვაბიშვილისთის (პ/ნ 33001008974) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ" 2016 წლის 1 აპრილის №04-1/37 ბრძანებით განსაზღვრული საიჯარო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების 2017 წლის 30 ოქტომბრიდან 2018 წლის 25 აპრილამდე შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან ზვიად მექვაბიშვილის გათავისუფლების თაობაზე (წერილი №12-03181575-03).

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს "აპოლო გ-ს" (ს/კ 202430468) შორის 2009 წლის 13 აგვისტოს (სანოტარო მოქ.რეგისტრაციის №090394425), 2009 წლის 18 დეკემბერს (სანოტარო მოქ.რეგისტრაციის №090870422) და 2010 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე (წერილი №12-031816249-03).

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს: *„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-4 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.*

მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილებით დამტკიცდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და

გადახდის ინსტრუქცია. წარმოდგენილი დადგენილების პროექტით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშების უფლებამოსილება, აღნიშნული ინსტრუქციის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ფორმულის მიხედვით, მერიის ურბანული განვითარების საქალქო სამსახურის ან/და სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მომართვისა და წარდგენილი მონაცემების საფუძველზე, ენიჭება მერიის საფინასო საქალაქო სამსახურს.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მომხრე- 7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

მოისმინეს: *საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი №11-01181623132 „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.*

მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ", სადაც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი საქალაქო სამსახური და რაიონის გამგეობები ითხოვენ, მათზე მიკუთვნებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილებებს, ასევე მოთხოვნილია სარეზერვო ფონიდისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაზრდა, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის, მე-3 პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტის და მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილის დანართის შესაბამისად.**

მომხრე- 7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

მისმინეს: *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.*

მომხსენებელი - გიორგი ბაგრატიონი

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" განხორციელებული ცვლილების თანახმად, 2018 წლის 1 ივლისიდან მუნიციპალიტეტის ორგანოები განახორციელებენ კოდექსის 77^1 (აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტება) და 77^2 (ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენება) მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირებას. მოცემულ სამართალდარღვევებზე უფლებამოსილ ორგანოდ განისზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, რაც ზრდის სამსახურის ფუნქციებს და შესაბამისად საჭიროა ცვლილებებით გათვალისწინებული ფუნქციები აისახოს სამსახურის დებულებაში. ქალაქ თბილისის მერის მიერ მიღებული №1-260 ბრძანებით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაციის დაწყების თაობაზე", ზედამხედველობის სამსახურს დაევალა დებულების პროექტის მომზადება. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში იქმნება 4 (ოთხი) სტრუქტურული ქვედანაყოფი: 2 (ორი) სამმართველო, ინსპექტირებისა და ლანდშაფტურ სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის და მონიტორინგის და 2 (ორი) განყოფილება, სამშენებლო კონტროლისა და ექსპლუატაციის განყოფილება და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება. სამსახურში იქნება 1 (ერთი) ახალისტრუქტურული ქვედანაყოფი(მონიტორინგის სამმართველო) რომელიც თავის მხრივ შედგება 5 (ხუთი) განყოფილებისგან: რეკლამების მონიტორინგის, ხაზობრივი ნაგებობების მონიტორინგის, გარე-ვაჭრობის მონიტორინგის, ნარჩენების კონტროლის და აკუსტიკური ხმაურის კონტროლის.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მომხრე- 7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

მოისმინეს: *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.*

მომხსენებელი - ვალერი ჭიღლაძე

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" განხორციელებული ცვლილების თანახმად, 2018 წლის 1 ივლისიდან მუნიციპალიტეტის ორგანოები განახორციელებენ კოდექსის 77^1 (აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტება) და 77^2 (ღამის საათებში პირიტექნიკური ნაკეთობის გამოყენება) მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირებას. მოცემულ სამართალდარღვევებზე უფლებამოსილ ორგანოდ განისზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, რაც ზრდის სამსახურის ფუნქციებს და შესაბამისად საჭიროა ცვლილებებით გათვალისწინებული ფუნქციები აისახოს სამსახურის დებულებაში. ასევე მითითებული ფუნქციების ეფექტურად განხორციელების მიზნით საჭიროა ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში განხორციელდეს შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებები. 2018 წლის 25 მაისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მიღებულ იქნა N1-260 ბრძანება "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაციის დაწყების თაობაზე", რომლის მიხედვითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაევალა სამსახურის დებულების პროექტის მომზადება. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში იქმნება 4 (ოთხი) სტრუქტურული ქვედანაყოფი: 2 (ორი) სამმართველო, ინსპექტირებისა და ლანდშაფტურ სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის და მონიტორინგის და 2 (ორი) განყოფილება, სამშენებლო კონტროლისა და ექსპლუატაციის განყოფილება და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება. სამსახურში იქნება 1 (ერთი) ახალისტრუქტურული ქვედანაყოფი (მონიტორინგის სამმართველო) რომელიც თავის მხრივ შედგება 5 (ხუთი) განყოფილებისგან: რეკლამების მონიტორინგის, ხაზობრივი ნაგებობების მონიტორინგის, გარე-ვაჭრობის მონიტორინგის, ნარჩენების კონტროლის და აკუსტიკური ხმაურის კონტროლის. შესაბამისად ცვლილება შედის და განსახილველად წარმოდგენილია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკრებულოს დადგენილების პროექტი. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხა ჩამოყალიბებულია ახალი დებულების შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მომხრე- 7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

მოისმინეს: *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.*

მომხსენებელი - ვალერი ჭიღლაძე

წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხაში. კერძოდ: ხდება ტექნიკური შეცდომის გასწორება, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილებაში, მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგო 1200 ლარის ნაცვლად არის 1000 ლარი. საორგანიზაციო განყოფილებაში უქმდება 1 ერთეული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი და ემატება სოციალური პროექტების განყოფილებაში 1 ერთეული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი. ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილებაში უქმდება 1 ერთეული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის და 1 ერთეული პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის შტატები და ემატება ზედამხედველობისა და რეაგირების განყოფილებაში 1 ერთეული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის და 1 ერთეული პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის შტატები. საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების განყოფილებაში ერთი ერთეული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი იცვლება მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის შტატში.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მომხრე- 7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

მოისმინეს: *ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქ.№133-ა-ში (საკ/კოდი 01.17.14.002.189) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.*

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე

ისნის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე 7 ოჯახს სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემათ ბერი გაბრიელ სალოსის ქ.№133-ა-ში (საკ/კოდი 01.17.14.002.189) მდებარე უძრავი ქონება, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ აღნიშნული ქონებით. აღნიშნული უძრავი ქონება განსაზღვრული იყო №668 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ბინათმშენებლობისათვის და დღეისათვის ამ ქონებით მოსარგებლე პირები წარმოადგენენ კოოპერტიული ბინათმშენებლობებით დაზარალებულებს, რომელთა მიმართ სახელმწიფოს აღიარებული აქვს ვალი. სსიპ-ქონების მართვის სააგენტოში მოქალაქეების მხრიდან წარდგენილია ნოტორიულად დამოწმებული თანხმობები, რომლითაც სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალის სანაცვლოდ, ფაქტობრივ მფობელობაში არსებული ბინების გადაცემით, სახელმწიფო დავალიანება მათ მიმართ ჩაითვლება მთლიანად დაფარულად.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მომხრე- 7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

მოისმინეს: *ქ. თბილისში, ალექსეევკას დასახლებაში (ნაკვეთი 02/022) საკ/კოდი: 01.19.25.002.022 მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.*

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე

სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე 3 ოჯახს სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემათ ალექსეევკას დასახლებაში (ნაკვეთი 02/022) საკ/კოდი: 01.19.25.002.022 მდებარე უძრავი ქონება, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ აღნიშნული ქონებით.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მომხრე- 7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

მოისმინეს: *ქ. თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს №3-ში (საკ/კოდი: 01.18.13.021.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.*

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე

კრწანისის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე 15 ოჯახს სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემათ ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს №3-ში (საკ/კოდი: 01.18.13.021.001) მდებარე უძრავი ქონება, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ აღნიშნული ქონებით.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მომხრე- 7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

მოისმინეს: *ქალაქ თბილისის მერიასა და საქართველოს ეზიდთა კავშირს (უფლებამონაცვლე: საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ეზიდთა სასულიერო საბჭო საქართველოში ს/კ 4060548251) შორის 2010 წლის 20 იანვარს გაფორმებული „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის #100038804) გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე.*

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისის მერიასა და საქართველოს ეზიდთა კავშირს შორის 2010 წლის 20 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: №01.19.37.017.018 – 1 329 კვ.მ და საკადასტრო კოდი: №01.19.37.017.019 – 300 კვ.მ) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადეცა საქართველოს

ეზიდთა კავშირს. საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა გადასაცემ მიწის ნაკვეთზე ქურთული კულტურული ცენტრის აშენება და ამავე ცენტრში ქურთული და ქართული ენების, ისტორიის, კულტურის, ევროპული ენების და კომპიუტერული სწავლების კურსების მოწყობა (ხელშეკრულების პუნქტი 4.4). 2018 წლის 21 მაისს, მყიდველმა მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და განაცხადა, რომ ცენტრის ბაზაზე კომპიუტერული კურსების, ქართული და ევროპული ენების კურსების არსებობა არ არის აქტუალური და ითხოვა აღნიშნული დისციპლინების შეცვლა საქართველოს კულტურული, რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების ისტორიის კურსებით.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მომხრე- 7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

მოისმინეს: *ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ.*

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე

წარმოდგენილი საკითხის მიხედვით საუბარია ვარკეთილის მე-3 მასივში მდებარე 30 205 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.20.020.025), რომლზეც სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ დამტკიცებულია განაშენიანების გენერალური გეგმა. გამარჯვებული პირი ვალდებულია გადაცემულ ტერიტორიაზე მოწყოს განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული სივრცეები: სპორტული მოედანი, ვერტიკალური გამწვანება, სარეკრეაციო ზონა, განავითაროს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ავტოსადგომი, შიდა გზები და სხვა. ასევე მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადასცეს არანაკლებ ინტერესთა გამოხატვისას დაფიქსირებული ოდენობის (7 500 კვ.მ) უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საცხოვრებელი (შიდა) ფართი, რომელიც განთავსებული იქნება ექსპლუატაციაში მიღებულ შენობაში. აღნიშნული მიწის საფასურს წარმოადგენს 1 (ერთი) ლარი. პროექტს განახორციელებს კომპანია, რომელიც დააკმაყოფილებს აღნიშნულ საკითხზე ინტერესთა გამოხატვასთან დაკავშირებით არსებულ კონკრეტულ კრიტერიუმებს.

აზრი გამოთქვეს: ლევან დარახველიძემ და დავით უთმელიძემ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მომხრე- 7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

მოისმინეს: *თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს „თბილისში საირმის ქუჩა №82-ში მდებარე 7 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:01.10.15.026.043) პირდაპირი განკარგვის წესით ზვიად მექვაბიშვილისთის (პ/ნ 33001008974) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ“ 2016 წლის 1 აპრილის №04-1/37 ბრძანებით განსაზღვრული საიჯარო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების 2017 წლის 30 ოქტომბრიდან 2018 წლის 25 აპრილამდე შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან ზვიად მექვაბიშვილის გათავისუფლების თაობაზე.*

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 1 აპრილის №04-1/37 ბრძანების საფუძველზე ზვიად მექვაბიშვილს, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცა 7 კვმ მიწის ნაკვეთი (საკ/კოდი: 01.10.15.026.043) ქ. თბილისში საირმის ქუჩა №82-ში, მსუბუქი კონსტრუქციის განთავსების მიზნით, 10 წლის ვადით. წლიური საიჯარო ქირის 480 ლარის გადახადა უნდა განხორციელებულიყო ყოველ 3 თვეში ერთხელ თანაბარწილად. იჯარის გადახდის ვადის ათვლა დაიწყო 2016 წლის 12 აპრილიდან. ზვიად მექვაბიშვილის მიერ არ განხორციელდა სარგებლობის ქირის დავალიანების გადახდა 2017 წლის 12 ოქტომბერს, 2018 წლის 12 იანვარს და 2018 წლის 12 აპრილს, რაზედაც მას სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება დარიცხული პირგასამტეხლოს შესახებ. ზვიად მექვაბიშვილმა მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და აღნიშნა რომ შეექმნა ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები რის გამოც ვერ შეძლო სარგებლობის ქირის დროულად გადახდა და მოითხოვა დარიცხული პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლება.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მომხრე- 7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

მოისმინეს: *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს "აპოლო გ-ს" (ს/კ202430468) შორის 2009 წლის 13 აგვისტოს (შანოტარო მოქ.რეგისტრაციის №090394425),2009 წლის 18 დეკემბერს (სანოტარო მოქ.რეგისტრაციის №090870422) და 2010 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე.*

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისის მერიასა და შპს „აპოლო გ.ს"-ს შორის 2009 წლის 13 აგვისტოს, 2009 წლის 18 დეკემბერს და 2010 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, შპს „აპოლო გ.ს"-ს საკუთრებაში გადეცა ქალაქ თბილისში, მირზა შაფის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთები. ხელშეკრულების თანახმად, მყიდველი ვალდებულია, შეძენილი მიწის ნაკვეთები სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით, გააერთიანოს მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან და შეთანხმებული ქალაქ თბილისის, მირზა შაფის ქუჩის განაშენიანების რეგულირების გეგმის პირობების გათვალისწინებით, გონივრულ ვადებში, უზრუნველყოს მომიჯნავედ არსებული ტერიტორიის განვითარება. მყიდველმა მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და აღნიშნა, რომ ვერ უზრუნველყოფს სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებული ქალაქ თბილისში, მირზა შაფის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის განვითარების პირობის შესრულებას, ვინაიდან სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან არ ჰქონდათ შეთანხმება და არც შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პირობებით არ იყო გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე მყიდველი ითხოვს ხელშეკრულებებით განსაზღვრული „მომიჯნავედ არსებული ტერიტორიის განვითარების" პირობის შეცვლას, შპს „აპოლო გ.ს"-ს საკუთრებაში არსებული ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.04.018.067) მიმდებარედ არსებული „ბოტანიკური ბაღის შესასვლელის კეთილმოწყობის" პირობით, არანაკლებ 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით. აქედან გამომდინარე ქალაქ თბილისის მერიასა და შპს „აპოლო გ.ს"-ს (ს/კ 202430468) შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში განხორციელდება ქვეპუნქტების შეცვლა და ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით. კერძოდ, **2009 წლის 13 აგვისტოს** გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით საპრივატიზებო პირობებით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის 4.1.4 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4.1.4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით და შეთანხმებული გ.რ.გ.-ს პირობების გათვალისწინებით საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის შესასვლელის კეთილმოწყობის უზრუნველყოფა, არანაკლებ 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით."; ქალაქ თბილისის მერიასა და შპს „აპოლოგ.ს"-ს (ს/კ 202430468)

შორის **2009 წლის 18 დეკემბერს** გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით საპრივატიზებო პირობებით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის 4.1.3 ქვეპუნქტის პირველი აბზაცი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4.1.3. საპრივატიზებო თანხის სრულად დაფარვისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდგომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით მიწის ნაკვეთების ქვემოთ მითითებულ საკადასტრო ერთეულებთან გაერთიანება შეთანხმებული გ.რ.გ.-ს პირობების გათვალისწინებით და საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის შესასვლელის კეთილმოწყობის უზრუნველყოფა, არანაკლებ 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით“; ქალაქ თბილისის მერიასა და შპს „აპოლოგ.ს“-ს (ს/კ 202430468) შორის **2010 წლის 29 ოქტომბერს** გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4.3. საპრივატიზებო ღირებულების სრულად დაფარვისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდგომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით გადაცემული მიწის ნაკვეთების მომიჯნავე საკადასტრო ერთეულებთან გაერთიანება შეთანხმებული გ.რ.გ.-ს პირობების გათვალისწინებით და საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის შესასვლელის კეთილმოწყობის უზრუნველყოფა, არანაკლებ 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით“.
კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მომხრე- 7, გოჩა თევდორაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა